



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 1148  
29/12/2017

1148-09-4-201712291156



**ბრძანება**

კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23. 14. 36. 392) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (საპირფარეშო და საინფორმაციო ცენტრი) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

მიმდინარე წლის 05 დეკემბერს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ელიტ სქი რესორტი“-ს №10940/09 განცხადებაზე, კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23. 14. 36. 392) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (საპირფარეშო და საინფორმაციო ცენტრი) მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მოთხოვნა და გაცემული იქნას კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23. 14. 36. 392) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (საპირფარეშო და საინფორმაციო ცენტრი) მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2017 წლის 07 დეკემბრის N4460-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1) გაიცეს კურორტ „გოდერძი“-ს ტერიტორიაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 23. 14. 36. 392) საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის (საპირფარეშო და საინფორმაციო ცენტრი) მშენებლობის ნებართვა;

- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე ([www.khulo.ge](http://www.khulo.ge)) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა